სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

LEPL STATE LANGUAGE DEPARTMENT

ბრძანება N2

28./02/2022

თბილისი

სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მოხალისეთა პროგრამის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 54-ე, 58-ე მუხლებისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 დეკემბრის N540 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ვ" და "კ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის (შემდგომში ენის დეპარტამენტი) მოხალისეთა პროგრამის შესახებ დებულება.
2. დაევალოს ენის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირთათვის გაცნობა;
3. ბრძანება ძალაში შედის დაინტერესებული პირთათვის გაცნობისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6. 0131);

დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

საქართველო,0114 თბილისი, ინგოროყვას ქ. № 7
7 INGOROKVA STR. TBILISI, 0114, Georgia

ტელ/TEL: (+995 32) 2 990900 (22 34)